

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

თბილისი

1 ივლისი 2006

სხდომა №2

ოქმი №2

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ვ. საყვარელიძე, კ. ყურაშვილი, ო. ეჯიბაძე, ნ. ბასილაია, ც. ხახანაშვილი, მ. ცარციძე, ა. არუთინოვა, ი. ლომსაძე, ა. ხაზალია, თ. ალფაიძე, ნ. მჭედლიშვილი, ი. სულაბერიძე

**სხდომას თავმჯდომარეობდა:**

პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე

**დღის წესრიგი:**

1. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს – სენატის არჩევნების დანიშვნა

მომხსენებელი: პროფესორი კ. ყურაშვილი

2. ერთ კვირაზე სააუდიტორიო დაგვირთვის მინიმალური ზღვრული ოდენობების დამტკიცება

მომხსენებელი: პროფესორი კ. ყურაშვილი თბილისის ჰუმანიტარული

3. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება

მომხსენებელი: პროფესორი კ. ყურაშვილი

4. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობების განსაზღვრის, საკონკურსო კომისიის შექმნისა და საკონკურსო კომისიის სამდივნოს შექმნის შესახებ

მომხსენებელი: პროფესორი კ. ყურაშვილი

**აკადემიურმა საბჭომ გადაწყვიტა:**

1. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – სენატის არჩევნები ჩატარდეს 2006 წლის 30 სექტემბერს; კანდიდატურების წარდგენა განხორციელდეს 2006 წლის 1 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე; სენატი აირჩეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულებიდან – ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ძირითად

საგანმანათლებლო ერთეულებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს - სენატის რიცხოვნება განისაზღვროს 24 წევრით. წარმომადგენლობითი საბჭოს - სენატის არჩევა ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. მისი უფლებამოსილების ვადაა 4 წელი; სტუდენტები შეადგენენ სენატის სრული შემადგენლობის ერთ მესამედს - 8-ს. წარმომადგენლობითი საბჭოს - სენატის შემადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) წარმომადგენელი ავტომატურად. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 1 კურსდამთავრებული, საზოგადოების 1 წარმომადგენელი და 1 მშობელი. სენატის შემადგენლობაში აირჩევა 12 აკადემიური თანამდებობის პირი, იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის არჩევა.

2. დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული სააუდიტორიო დაგვირთვის მინიმალური ზღვრული ოდენობები ერთ კვირაზე:

- ა) პროფესორი - 3 საათი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - 6 საათი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - 9 საათი;

3. მოწონებულ იქნას პრორექტორ კ. ყურაშვილის მიერ წარმოდგენილი თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის წესდების ახალი რედაქცია და ეთხოვოს უნივერსიტეტის პარტნიორთა კრებას, რათა სათანადო ცვლილებები შეიტანოს მოქმედ წესდებაში.

4. დაევალოს უნივერსიტეტის რექტორს (ვ. საყვარელიძე) გამოაცხადოს ღია კონკურსი უნივერსიტეტის საშტაგო ნუსხით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება;

5. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ვალენტინა საყვარელიძე, თავმჯდომარე.
- ბ) მზია მიქაძე (მოწვეული ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან)
- გ) ოლეგ ეჯიბაძე;
- დ) სოლომონ ვარდიშვილი (მოწვეული);
- ე) კახი ყურაშვილი;
- ვ) ზაზა რუხაძე (მოწვეული ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან);
- თ) გია ქირია (მოწვეული ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან);

6. განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების შემოგანა განხორციელდეს მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. 2, 2006 წლის 1 აგვისტოს 17.00 საათამდე;

7. საკონკურსო საბჭომ ღია კონკურსის შედეგები გამოაქვეყნოს 2006 წლის 1 სექტემბრამდე;

8. დამტკიცდეს კონკურსის ჩატარების შემდეგი წესი:

ა) საკონკურსო საბჭოს გადაწყვეტილება თითოეულ კანდიდატურაზე მიიღება საკონკურსო კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სპეციალიზაციის მიხედვით საკონკურსო კომისიის წევრის ხმა. კონკურსში მონაწილე საკონკურსო კომისიის წევრის კანდიდატურის განხილვა განხორციელდება მის გარეშე.

ბ) ღია კონკურსში გამარჯვებული პირი აკადემიურ თანამდებობაზე დაინიშნება 3 წლის ვადით და გაფორმდეს მასთან შრომითი კონტრაქტი 2006 წლის 1 სექტემბრიდან.

გ) დამტკიცდეს ღია კონკურსის ჩატარების შემდეგი პირობები:

გ.ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც არ მიუღწევია 72 წლის ასაკისათვის და აგრეთვე:

გ.ა.ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან სულ ცოცხალი მენციურებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი;

გ.ა.ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

გ.ა.გ) აქვს გამოქვეყნებული სულ ცოცხალი 3 სამეცნიერო შრომა;

გ.ა.დ) ფლობს ერთ-ერთ უცხო ენას მაინც და კომპიუტერულ პროგრამებს;

გ.ა.ე) ელექტრონული ფორმით წარმოადგენს სულ ცოცხალი 2 სასწავლო დისციპლინაში სათანადო სილაბუსსა და კარაკულუმს, რომელსაც განიხილავს საკონკურსო კომისია;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც არ მიუღწევია 72 წლის ასაკისათვის და აგრეთვე:

გ.ბ.ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან სულ ცოცხალი მენციურებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი;

გ.ბ.ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ.ბ.გ) აქვს გამოქვეყნებული სულ ცოცხალი 2 სამეცნიერო შრომა;

გ.ბ.დ) ფლობს ერთ-ერთ უცხო ენას მაინც და კომპიუტერულ პროგრამებს;

გ.ბ.ე) ელექტრონული ფორმით წარმოადგენს სულ ცოცხალი 3 სასწავლო დისციპლინაში სათანადო სილაბუსსა და კარაკულუმს, რომელსაც განიხილავს საკონკურსო კომისია;

გ.გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც არ მიუღწევია 72 წლის ასაკისათვის და აგრეთვე:

გ.გ.ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მენციურებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, ან დოქტორანტი, ან არ არის დოქტორანტი, მაგრამ გაუღილი აქვს დიპლომის შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლების კურსი ან გუსტირება და აქვს შესაბამისი სერტიფიკატი;

გ.გ.ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ.გ.გ) ფლობს ერთ-ერთ უცხო ენას მაინც და კომპიუტერულ პროგრამებს;

გ.გ.დ) ელექტრონული ფორმით წარმოადგენს სულ ცოტა 1 სასწავლო დისციპლინაში სათანადო სილაბუსსა და კარაკულუმს, რომელსაც განიხილავს საკონკურსო კომისია;

გ.დ) განცხადებასთან ერთად აკადემიური თანამდებობის დაკავების პრეგნლენგმა უნდა შეავსოს განცხადების გიპიური ფორმა, რომელშიც განაცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში იგი არ დაიკავეს აკადემიურ თანამდებობას ერთზე მეტ სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში;

გ.ე) კონკურსში მინაწილემ უნდა წარმოადგინოს საკონკურსო კომისიის სამდივნოში:

გ.ე.ა) განცხადება;

გ.ე.ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ.ე.გ) დიპლომის ასლი;

გ.ე.დ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

გ.ე.ე) აკადემიური ან სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი მოწმობა ან სხვა სერტიფიკატი;

გ.ე.ვ) სილაბუსი და კარაკულუმი;

გ.ე.ზ) CV (ავტობიოგრაფია).

დ) შეიქმნას საკონკურსო კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:


დ.ა) მ. ჩეჩელაშვილი

დ.ბ) ა. მეგრეველი

დ.გ) ხ. ყურაშვილი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სწავლული მდივანი:



ვალენტინა საყვარელიძე

კახი ყურაშვილი